განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

ჯანდაცვის მენეჯმენტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

კავკასიის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი
13-14/04/2018

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	კავკასიის უნივერსიტეტი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205050567
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ჯანდაცვის მენეჯმენტი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში - 0203
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვასილ კიკუტაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირმა მჟავანაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რუსუდან სეთურიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა გვრიტიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის მიზანს წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვის სექტორში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობისათვის მაღალკვალიფიციური ჯანმრთელობის დაცვის მენეჯმენტის სპეციალისტების მომზადება. პროგრამა ხორციელდება საქართველოში ჯანდაცვის მართვის სისტემაში ჩართული პრაქტიკოსი სპეციალისტების, ჯანდაცვის სექტორში დამსაქმებლებისა და საზღვარგარეთ ჯანდაცვის ადმინისტრირების წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილებაზე დაყრდნობით.

ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ვადა შეადგენს 4 წელს. კრედიტი შემდეგნაირად ნაწილდება: 55 კრედიტი არის ზოგადი საუნივერსიტეტო საგნები; 40 კრედიტი არის სპეციალობის ბიზნესის მოდულიდან; 105 კრედიტი არის სპეციალობის ჯანდაცვის მოდულიდან; 20 კრედიტი არის პრაქტიკული და კვლევითი მოდულიდან და 20 კრედიტი კი თავისუფალი უნივერსიტეტში შეთავაზებული საბაკალავრო საფეხურის ნებისმიერი საგნებიდან. ზოგადი საუნივერსიტეტო მოდული შედგება ზოგადი კურსებისგან. ბაკალავრიატის ზოგადი კურსები არის ინტერდისციპლინური და ემსახურება სტუდენტების თვალსაწიერის გაფართოებას. ბიზნესის მოდული მოიცავს ძირითად და არჩევით საგნებს, რომლებიც განკუთვნილია ბიზნესის ადმინისტრირების დარგში ზოგადი კომპეტენციების ჩამოსაყალიბებლად. ჯანდაცვის მენეჯმენტის მოდული მოიცავს, როგორც სავალდებულო 30 კრედიტი (6 საგანი), ისე არჩევით 75 კრედიტს შეთავაზებული 95 კრედიტიდან (ანუ 15 საგანს ირჩევს სტუდენტი 23 საგნიდან). ჯანდაცვის მენეჯმენტის მოდულის საგნების გავლის შემთხვევაში სტუდენტი აგროვებს 105 კრედიტს.

ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით შემოთავაზებული სასწავლო კურსების დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სწავლება-სწავლის შემდეგი მეთოდები - ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი და სხვა. სწავლა-სწავლების პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოყენებული მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ანაცვლებენ. სტუდენტის ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერითი (ტესტი, ქეისი, ამოცანა, ღია კითხვები, ესსე, და ა.შ) გამოკითხვა, ჯგუფური/ ინდივიდუალური დავალების მომზადება და მისი პრეზენტაცია, პრაქტიკის ანგარიშის დაცვა შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში.

ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დაიკავოს მენეჯერის თანამდებობა ბიზნესის სექტორში, ასევე შესაბამისი თანამდებობა სახელმწიფო სტრუქტურებში დადგენილი ნომენკლატურის მიხედვით, არასახელმწიფო სექტორში (პირველადი ჯანდაცვა, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ჰოსპიტალური, ფარმაცევტული და შემდგომი სპეციალიზირებული მომსახურების ჯანდაცვის დაწესებულებები) სხვადასხვა მიმართულებებისა და დონის მენეჯერის პოზიციებზე. საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს სამაგისტრო პროგრამაზე, კანონით დადგენილი წესისამებრ, როგორც ბიზნესის ადმინისტრირების, ისე საჯარო პოლიტიკის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ტექნოლოგიების და სხვა მიმართულებით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 13-14 აპრილს. ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით. ვიზიტის პროცესში განხორციელდა ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ხარისხის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამაში ჩართულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან და დამხმარე პერსონალთან. ადგილზე იქნა დათვალიერებული უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და გადამოწმდა უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსები.

ვიზიტის პროცესში აკრედიტაციის ჯგუფმა განახორციელა განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ წინასწარ გადმოგზავნილი ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის მასალების შემოწმება, თუმცა ვიზიტის პროცესში გამოიკვეთა, რომ გადმოგზავნილ მასალებში ზოგიერთი სასწავლო კურსების სილაბუსების არასრული ვერსიები იყო წარმოდგენილი, ხოლო რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსი გამორჩენილი იყო გადმოგზავნილ მასალებში, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ადგილზე სტუდენტებთან და განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიურებისას დაზუსტდა, რომ სწავლა-სწავლების პროცესი რეალურად მიმდინარეობდა დასრულებული სისლაბუსებით და ეს სილაბუსები ატვირთული იყო უნივერსიტეტის ელექტრონულ სასაწავლო ბაზაში. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნის დაწერისას იხელმძღვანელა გადმოგზავნილი მასალებით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ 1.2 და 1.5 ქვესტანდარტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 2.2; 3.2 და 4.4 ქვესტანდარტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, შესაბამისად პროგრამა საბოლოო ჯამში სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაშია, შემდეგი კონფიგურაციით: 1 სტანდარტი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 2, 3, 4 და 5 სტანდარტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას კრიტიკული შეუსაბამობა პროგრამასა და აკრედიტაციის სტანდარტებს შორის არ ფიქსირდება, რაზეც მიუთითებს შემდეგი დეტალები: პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები არიან კონკურენტუანარიანები, ფლობენ უცხო ენებს, არიან მოტივირებულები და საქმდებიან ძირითადად პროფილის მიხედვით სხვადასხვა კომპანიებში, სახელმწიფო სტრუქტურებში, არასახელმწიფო სექტორში. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია კვალიფიციური ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დარგის სპეციალისტები, გაზიარებულია უცხოური გამოცდილება მოცემული მიმართულებით. უნივერსიტეტი ფლობს მაღალი დონის ინფრასტრუქტურას, გამოირჩევა საერთშორისო კონტაქტებით, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებას.

- **რეკომენდაციები**

ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სასწავლო კურსების სახელწოდებები „საინფორმაციო სისტემები 1“ და „საინფორმაციო სისტემები 2“ თავისი შინაარსიდან გამომდინარე ჩამოყალიბდეს, როგორც საოფისე პროგრამები 1, 2 ან საინფორმაციო ტექნოლოგიები 1,2;
- რეკომენდებულია სასწავლო კურსში „ჯანდაცვის მართვის საინფორმაციო სისტემები“ განხილული იქნეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემა ცალკეული მოდულების მიხედვით, ხოლო MS Project-ის სწავლება განხორციელდეს "პროექტის მენეჯმენტი ჯანდაცვაში" დისციპლინის ფარგლებში;
- რეკომენდებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში ტექნიკური ხარვეზების გარეშე იქნეს წარმოდგენილი ინფორმაცია ლექტორების საკონტაქტო მონაცემების, კურსის სტატუსის და საათების გადანაწილების შესახებ;
- რეკომენდებულია გააქტიურდეს პროგრამის პოტენციური დამსაქმებლების პროგრამის შემუშავების პროცესში მონაწილეობის მექანიზმები, კერძოდ საჭიროა მათი აქტიური ჩართულობა არა მარტო პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების საქმეში, არამედ პროგრამის შემუშავების პროცესშიც;
- რეკომენდებულია კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით დაკონკრეტდეს ყველა სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სწავლების მეთოდების მიზნობრივი გამოყენების პირობები;
- მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტები ლექტორებისაგან (ინდივიდუალური შეთანხმებების საფუძველზე) შეუზღუდავად იღებენ კონსულტაციებს, რეკომენდებულია სასწავლო კურსების ყველა სილაბუსში დაფიქსირდეს საკონსულტაციო საათები და შედგეს საკონსულტაციო დატვირთვის სქემა;
- რეკომენდებულია ზოგიერთ სასწავლო კურსში (მაგ. ბიზნეს სტატისტიკის საფუძვლები, მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები, ჯანდაცვის პოლიტიკა და რეფორმები პრინციპები, ლიდერობა და გუნდის მართვის საფუძვლები) სავალდებულო ლიტერატურის განახლება, ხოლო იმ კურსებში, სადაც მხოლოდ ინგლისურენოვანი სავალდებულო ლიტერატურაა მოხდეს მითითებული ქართულენოვანი რიდერების ჩამატება და საბიბლიოთეკო ბაზაში განთავსება;

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია “პროექტების მენეჯმენტი ჯანდაცვაში” და “სამედიცინო მომსახურების ხარისხის მენეჯმენტის” სასწავლო კურსების სავალდებულო დისციპლინებად შეთავაზება პროგრამის სტუდენტებისათვის;
- სასურველია პროგრამის სწავლების ენის შესახებ ჩანაწერი უშუალოდ პროგრამაში და აბიტურიენტების ცნობარში მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში;
- სასურველია პროგრამის განმახორციელებელ აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმების მეტად გააქტიურება;
- სასურველია ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის კორდინაციის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით განხორციელდეს პროგრამული დოკუმენტების მომზადებისა და წარდგენის წესების გაწერა, რაც მინიმუმამდე დაიყვანს თუნდაც სააკრედიტაციოდ გასაგზავნ დოკუმენტაციაში ტექნიკური ხასიათის ხარვეზების არსებობას.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამით დაინტერესების ერთ-ერთ წინა ეტაპად დასახელდა უნივერსიტეტის მოკლევადიანი ტრეინინგ კურსი ,,ჰოსპიტალური მენეჯმენტი", რომლის გავლამ გავლენა იქონია მომავალში ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის სურვილზე.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

აღნიშნული პროგრამის აკრედიტაცია განხორციელდა 2012 წლის 3-4 დეკემბერს. პროგრამის აკრედიტაციისას გაცემული რეკომენდაციები დღევანდელი მდგომარეობით უმეტესწილად გათვალისწინებულია, კერძოდ პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო გახდა ,,პროექტი ჯანდაცვის მენეჯმენტში"; პროგრამაში შემავალი ზოგად საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების სწავლის შედეგები წარმოდგენილია დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების სახით; მიუხედავად იმისა, რომ არ შეცვლილა პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების კრედიტების მოცულობა (5 კრედიტი), სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით დიფერენცირებულია ლექციების, სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობების საათები; რეკომენდაციის შესაბამისად დაკორექტირებულია არჩევითი სასწავლო კურსის ,,ხარისხის მენეჯმენტის" შეთავაზების სემესტრი.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტის მისიაში ასახულ მიზნებს და უზრუნველყოფს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების მიმდევარი სპეციალისტების მომზადებას და ამ სფეროში საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილებას. წარმოდგენილი პროგრამის მიზანს კი წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვის სექტორში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობისათვის მაღალკვალიფიციური ჯანმრთელობის დაცვის მენეჯმენტის სპეციალისტების მომზადება, რომელთაც ექნებათ ჯანდაცვის მართვის ზოგადი და ფართო ცოდნა, რაც ჯანდაცვის მართვის მთავარი პრინციპების, თეორიებისა და კონცეფციების, კვლევის ძირითადი მეთოდების დაუფლებას მოიცავს. პროგრამის მიზანი ცხადია, ნათლად არის ჩამოყალიბებული, მიღწევადია და ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე, რაზეც მიუთითებს პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების მდგომარეობა, კერძოდ მათი აბსოლუტური უმრავლესობა დასაქმებულია პროფილის მიხედვით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ კავკასიის უნივერსტეტის მისია; ▪ ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა; ▪ ინტერვიურება პროგრამის კურსდამთავრებულებთან; ▪ პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების სტატისტიკა; ▪ ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი- https://cu.edu.ge/.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პროგრამით დაინტერესების ერთ-ერთ წინა ეტაპად დასახელდა უნივერსიტეტის მოკლევადიანი ტრეინინგ კურსი ,,ჰოსპიტალური მენეჯმენტი“, რომლის გავლამ გავლენა იქონია მომავალში ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის სურვილზე.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, ნაწილობრივ უზრუნველყოფს შესაბამისი კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმში შემავალი სასწავლო კურსები თანამიმდევრული და ლოგიკური ურთიერთშესაბამისობით ახორციელებს ბაკალავრის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის განვითარებასა და სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა პროგრამაში შემავალი ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ გაგვაჩნია გარკვეული რეკომენდაციები და რჩევები, კერძოდ: ➢ სასწავლო კურსები „საინფორმაციო სისტემები 1“ და „საინფორმაციო სისტემები 2“ თავისი შინაარსიდან გამომდინარე წარმოადგენს არა საინფორმაციო სისტემებს, არამედ საოფისე პროგრამებს, შესაბამისად მოცემული კურსების სახელწოდება რეკომენდებულია ჩამოყალიბდეს, როგორც საოფისე პროგრამები 1,2 ან საინფორმაციო ტექნოლოგიები 1,2. ➢ სასწავლო კურსი „ჯანდაცვის მართვის საინფორმაციო სისტემები“ MS Project სწავლებას მოიცავს, რაც თავისთავად კარგია, თუმცა უმჯობესი იქნება თუ მოცემულ კურსში განხილული იქნეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემა ცალკეული მოდულების მიხედვით, ხოლო MS Project-ის სწავლება განხორციელდეს "პროექტის მენეჯმენტი ჯანდაცვაში" დისციპლინის ფარგლებში; ➢ შესამოწმებლად წარმოდგენილი ზოგიერთი სასწავლო კურსის (მენეჯერული აღრიცხვის პრინციპები, ფინანსური მენეჯმენტი, ორგანიზაციული ქცევა, კალკულუსი 2) სილაბუსები წარმოდგენილი იყო კომენტარებით, რაც მათ სამუშაო მდგომარეობაზე მიუთითებდა, შესაბამისად ორგანიზაციული ქცევის, ხარისხის მენეჯმენტის, ჯანდაცვის მენეჯმენტის, ჯანდაცვის მართვის საინფორმაციო სისტემების სილაბუსებში ლექტორების საკონტაქტო ინფორმაცია არასრულად იყო წარმოდგენილი, ერთ შემთხვევაში (მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები) კი გამორჩენილი იყო საკონსულტაციო საათების მითითება, ხოლო კალკულუსი 2 სასწავლო კურსის სილაბუსში სასწავლო კურსის სტატუსი მითითებულია, როგორც სავალდებულო, თუმცა კურსი არჩევითია. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ შესამოწმებლად გადმოგზავნილ სასწავლო კურსების სილაბუსებში არ იყო წარმოდგენილი სასწავლო პრაქტიკის, ჯანდაცვის მარკეტინგის საფუძვლები, ჯანდაცვის ეკონომიკის საფუძვლები, შესავალი მიკროეკონომიკაში და შესავალი მაკროეკონომიკაში სილაბუსები, თუმცა აღნიშნული კურსების სილაბუსები, ისევე როგორც ტექნიკური ხარვეზებით გამოგზავნილი სილაბუსები, სტუდენტების სასწავლო ელექტრონულ ბაზაში (MY CU) ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში იყო ატვირთული, თუმცა ზოგიერთ სასწავლო კურსის სილაბუსთან მიმართებაში (სასწავლო პრაქტიკა, ჯანდაცვის მარკეტიგის საფუძვლები) მაინც დაფიქსირდა ტექნიკური ხასიათის უზუსტობა საათების გადანაწილებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა; ▪ ინტერვიურება ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან; ▪ ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ უნივერსიტეტის სასწავლო ელ. პორტალი - https://programs.cu.edu.ge/cu/login; ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი- https://cu.edu.ge/.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სასწავლო კურსების სახელწოდებები „საინფორმაციო სისტემები 1“ და „საინფორმაციო სისტემები 2“ თავისი შინაარსიდან გამომდინარე ჩამოყალიბდეს, როგორც საოფისე პროგრამები 1, 2 ან საინფორმაციო ტექნოლოგიები 1,2;
- რეკომენდებულია სასწავლო კურსში „ჯანდაცვის მართვის საინფორმაციო სისტემები“ განხილული იქნეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემა ცალკეული მოდულების მიხედვით, ხოლო MS Project-ის სწავლება განხორციელდეს "პროექტის მენეჯმენტი ჯანდაცვაში" დისციპლინის ფარგლებში;
- რეკომენდებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში ტექნიკური ხარვეზების გარეშე იქნეს წარმოდგენილი ინფორმაცია ლექტორების საკონტაქტო მონაცემების, კურსის სტატუსის და საათების გადანაწილების შესახებ;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და პრაქტიკული კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის საბაკალავრო დონის სწავლების შედეგების მიღწევას. კერძოდ, ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30 ECTS კრედიტს. პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს ანუ 8 სემესტრს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით: წელი შედგება შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრისაგან და თითოეული სემესტრი მოიცავს 19 კალენდარულ კვირას, შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 38 კვირაზე. დამატებით შესაძლებელია ზაფხულის 8 კვირიანი სემესტრის ორგანიზება, სადაც სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 15 ECTS კრედიტი (წლიური 75 ECTS-ს ფარგლებში). 1 ECTS კრედიტი უდრის 25 კრედიტ საათს.

ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა სტუდენტს საშუალებას აძლევს გაიაროს, როგორც ძირითადი სპეციალობის საგნები (სავალდებულო და არჩევითი), ასევე თავისუფალი კრედიტი არა უმეტეს 20 კრედიტისა უნივერსიტეტში შეთავაზებული საგნებიდან.

240 კრედიტი შემდეგნაირად ნაწილდება:

- 55 კრედიტი არის ზოგადი საუნივერსიტეტო საგნები;
- 40 კრედიტი არის სპეციალობის ბიზნესის მოდულიდან;
- 105 კრედიტი არის სპეციალობის ჯანდაცვის მოდულიდან;
- 20 კრედიტი არის პრაქტიკული და კვლევითი მოდულიდან;
- 20 კრედიტი თავისუფალი უნივერსიტეტში შეთავაზებული საბაკალავრო საფეხურის ნებისმიერი საგნებიდან.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სხვადასხვა სასწავლო კურსებში წარმოდენილია როგორც პროექტების, ასევე სამედიცინო მომსახურების ხარისხის მენეჯმენტის საბაზისო ელემენტები, მიგვაჩნია, რომ უკეთესი იქნება "პროექტის მენეჯმენტი ჯანდაცვაში" და "სამედიცინო მომსახურების ხარისხის მენეჯმენტის" კურსების სავალდებულო დისციპლინებად შეთავაზება სტუდენტებისათვის, რის სასურველობაც პროგრამის პოტენციურმა დამსაქმებლებმა და პროგრამის კურსდამთავრებულებმაც ინტერვიურებისას აღნიშნეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;
- ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი- https://cu.edu.ge/.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია "პროექტების მენეჯმენტი ჯანდაცვაში" და "სამედიცინო მომსახურების ხარისხის მენეჯმენტის" სასწავლო კურსების სავალდებულო დისციპლინებად შეთავაზება პროგრამის სტუდენტებისათვის;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ჯანდაცვის მენეჯმენტის პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დაიკავოს მენეჯერის თანამდებობა ბიზნესის სექტორში, ასევე შესაბამისი თანამდებობა სახელმწიფო სტრუქტურებში დადგენილი ნომენკლატურის მიხედვით, არასახელმწიფო სექტორში (პირველადი ჯანდაცვა, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ჰოსპიტალური, ფარმაცევტული და შემდგომი სპეციალიზირებული მომსახურების ჯანდაცვის დაწესებულებები) სხვადასხვა მიმართულებებისა და დონის მენეჯერის პოზიციებზე. საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სამაგისტრო პროგრამებზე, როგორც ბიზნესის ადმინისტრირების, ისე საჯარო პოლიტიკის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ტექნოლოგიების და სხვა მიმართულებით. პროგრამის კურსდამთავრებულთა უმრავლესობა დასაქმებულია პროფილის მიხედვით და ასევე სწავლას აგრძელებენ მაგისტრატურაში ბიზნესის ადმინისტრების, მათ შორის ჯანდაცვის მენეჯმენტის მიმართულებით. პროგრამაზე სწავლის პერიოდში სტუდენტები იღებენ ცოდნას არა მარტო სპეციალობაში, უნივერსიტეტის საერთო მიდგომებიდან გამომდინარე სათანადოდ ეუფლებიან უცხო ენებს, რაც მათივე აღნიშვნით მნიშვნელოვნად ეხმარებათ, როგორც შრომის ბაზარზე, ასევე განათლების შემდგომ საფეხურზე კონკურენტუნარიანობის მიღწევაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა; ▪ ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ ინტერვიურება პოტენციურ დამსაქმებლებთან; ▪ მემორანდუმები დამსაქმებლებთან; ▪ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები; ▪ ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კავკასიის უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციით საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესი საჯარო და გამჭვირვალეა, ხოლო პროგრამის განვითარებაში, მის შემდგომ სრულყოფაში მონაწილეობენ დაინტერესებული მხარეები. პროგრამას გეგმავს ჯანდაცვის სკოლის აკადემური პერსონალი. კონსულტაციებისა და დისკუსიების საფუძველზე აკადემიური პერსონალი თანხმდება საგნების შესაბამის ჯგუფზე და იწყებს მუშაობას კურსების აღწერაზე, სწავლების მეთოდებზე, შეფასების სისტემაზე, შესათავაზებელ ლიტერატურაზე, კურსებზე დაშვების წინაპირობებზე და სხვ. მიღებული შედეგები განიხილება ჯანდაცვის სკოლის საბჭოს სხდომაზე, ხოლო შემდეგ მტკიცდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის მიერ გამოცემული ბრძანებით. გარდა აკადემიური პერსონალისა, უნივერსიტეტში არსებული წესი ითვალისწინებს პროგრამის სწავლის შედეგებისა და განვითარების პროცესში როგორც სტუდენტების, ასევე კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობას. სტუდენტების ჩართულობა ძირითადად გამოიხატება მათ გამოკითხვებში, სადაც ხდება მათი აზრის დაფიქსირება, ხოლო პროგრამაში ჩართული პედაგოგების ნაწილი მოქმედი, დარგის გამოცდილი და წარმატებული სპეციალისტები არიან, რომელთა მოსაზრებები და რეკომენდაციები გათვალისწინებულია პროგრამის შემუშავებისას. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დამსაქმებლებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა რომ, ისინი ძირითადად მაინც პროგრამის სტუდენტების პრაქტიკის ობიექტებით უზრუნველყოფასა და კურსდამთავრებულების სტაჟირებასა და დასაქმებაზე უფრო მეტად არიან ორიენტირებულები, ვიდრე პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის შემუშავების პროცესში მონაწილეობაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა; ▪ ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ ინტერვიურება პოტენციურ დამსაქმებლებთან; ▪ მემორანდუმები დამსაქმებლებთან; ▪ ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ ხარისხის შიდა საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო.
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია გააქტიურდეს პროგრამის პოტენციური დამსაქმებლების პროგრამის შემუშავების პროცესში მონაწილეობის მექანიზმები, კერძოდ საჭიროა მათი აქტიური ჩართულობა არა მარტო პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების საქმეში, არამედ პროგრამის შემუშავების პროცესშიც;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კავკასიის უნივერსიტეტში პროგრამაზე მიღების წინაპირობებს განსაზღვრავს უნივერსიტეტის მოქმედი ნორმატიული და შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციები, რომლებიც გამომდინარეობს და შესაბამისობაშია ქვეყანაში მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო საკანონმდებლო აქტებთან და პოლიტიკასთან, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს შესაბამისი უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას. პროგრამის ჩანაწერის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე, თუმცა უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ,,ცნობარი აბიტურიენტებისთვის“ მითითებულია, რომ სწავლა ხორციელდება ქართულ ენაზე ინგლისური კომპონენტით. აღნიშნული ასევე დადასტურდა აკადემიური პერსონალის ინტერვიურებისას. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის და პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, კავკასიის ჯანდაცვის სკოლაში სწავლის მსურველთა უკეთ ინფორმირების მიზნით ყოველწლიურად ტარდება აბიტურიენტებისთვის ,,ღია კარის დღეები“, ეწყობა საინფორმაციო შეხვედრები და ღონისძიებები. ამასთან, ადაპტირებული ინფორმაცია ,,ცნობარი აბიტურიენტებისთვის“ თავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. ვიზიტისას, უნივერსიტეტის სტუდენტების და კურსდამთავრებულების მიერ, პროგრამით დაინტერესების ერთ-ერთ წინა ეტაპად დასახელდა უნივერსიტეტის მოკლევადიანი

ტრეინინგ კურსი „ჰოსპიტალური მენეჯმენტი“, რომლის გავლამ გავლენა იქონია მომავალში ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის სურვილზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;
- ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი- https://cu.edu.ge/.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის სწავლების ენის შესახებ ჩანაწერი უშუალოდ პროგრამაში და აბიტურიენტების ცნობარში მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამის სხვადასხვა კომპონენტებში განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევის მრავლობითი ფორმები და მეთოდები, კერძოდ: გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური, წიგნზე მუშაობის, წერითი, დემონსტრირების, დისკუსია/დებატების, შემთხვევის ანალიზის (Case study), ახსნა–განმარტებითი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების, ევრისტიკული, გონებრივი იერიშის, სწავლების დედუქციური, ანალიზის, სინთეზის მეთოდი და სხვა. ამასთან, პროგრამის სხვადასხვა სასწავლო კურსების სილაბუსში მითითებულია სწავლების არსებული მეთოდების დიდი ჩამონათვალი, რაც ბადებს კითხვას რამდენად ხდება სწავლის დროს ყველა ამ მეთოდის გამოყენება და როგორი თანმიმდევრობით. ვიზიტისას აკადემიური პერსონალის მიერ სწავლების პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე მრავალფეროვან მეთოდებს შორის არჩევანის საფუძვლად დასახელდა მიდგომა, რომ სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ანაცვლებენ, კერძოდ: თითოეული სასწავლო კურსის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება ლექცია,

სემინარი, პრაქტიკული, პროექტი/რეფერატი, დამოუკიდებელი მუშაობა, პრაქტიკა. ცალკეული სწავლება-სწავლის მეთოდი მოიცავს შესაბამის აქტივობებს: დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვა. რაც ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსებში და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა; ▪ ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი- https://cu.edu.ge/.
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით დაკონკრეტდეს ყველა სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სწავლების მეთოდების მიზნობრივი გამოყენების პირობები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანამიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია და ასახულია სასწავლო გეგმაში. სასწავლო მასალა სემესტრების მიხედვით განაწილებულია პრინციპით - ზოგადიდან კონკრეტულისაკენ. პროგრამაში შემავალი ყველა კურსის განაწილება სემესტრების მიხედვით ეყრდნობა ცოდნის აკუმულაციის პრინციპს. პრერეკვიზიტის მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია განმეორებით გაიაროს სასწავლო კურსი დადებითი შეფასების მიღების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა; ▪ ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი- https://cu.edu.ge/.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კავკასიის უნივერსიტეტში ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ათვისება ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული მეთოდების წილისგან შედგება და მოიცავს სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასებას შემდეგი სტრუქტურით: დამოუკიდებელი მუშაობის შეფასება; ყოველკვირეული შეფასება; შუა სემესტრული შეფასება და საბოლოო გამოცდის შეფასება. სტუდენტის ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერითი (ტესტი, კაზუსი, ქეისი, ამოცანა, ღია კითხვები, ესსე და ა.შ) გამოკითხვა, ჯგუფური/ ინდივიდუალური დავალების მომზადება და მისი პრეზენტაცია, პრაქტიკის ანგარიშის დაცვა. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში, რომელიც ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების კომპონენტები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში და უზრუნველყოფს პროგრამის თითოეულ კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;

- ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი- https://cu.edu.ge/.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების ცოდნის შეფასება ხდება შეფასების შიდა საუნივერსიტეტო სისტემის ფარგლებში, გამჭირვალე კრიტერიუმების გამოყენებით. აკადემიური რეგულაციები ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ თავიდანვე გაეცნონ სილაბუსების ელექტრონულ ვერსიებს და კურსის დაწყებისთანავე იცოდნენ შეფასების ძირითადი კომპონენტები და კრიტერიუმები. პროგრამის მიმდინარეობის მანძილზე სტუდენტს საშუალება აქვს თვალი ადევნოს მიმდინარე შეფასებებს, იქონიოს „ონლაინ“ კონტაქტი ლექტორთან და დროული რეაგირება მოახდინოს მიღწეულ შედეგებზე. საგამოცდო პროცედურებს ორგანიზებას და ზედამხედველობას უწევს მონიტორინგის დეპარტამენტი, ყველა ნაშრომი ანონიმურია და ლექტორს გასასწორებლად გადაეცემა დაშიფრული კოდით. ამასთან სტუდენტს პროცედურულად ეძლევა შესაძლებლობა გაასაჩივროს საკუთარი ქულა და მოითხოვოს შეფასების გადახედვა. სტუდნეტის მხრიდან მიღებული შეფასების გასაჩივრების შემთხვევაში იქმნება სააპელაციო კომისია (არეგულირებს დებულება „გამოცდების ჩატარების შესახებ“). ვიზიტისას აღნიშნული პროცედურა სტუდენტების მიერ შეფასდა გამჭვირვალედ და მათთვის მოქნილ მექანიზმად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;
- ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;

▪ ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ დებულება "გამოცდების ჩატარების შესახებ"; ▪ შეფასების ელექტრონული ბაზები; ▪ ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი- https://cu.edu.ge/.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ინტერვიუებით დადგინდა, რომ სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციებს. უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა მომსახურების სერვისი, სადაც სტუდენტს შეუძლია მიიღოს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად საჭირო ინფორმაცია. ამასთან, სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ მათ ჰყავთ მენეჯერი, რომლისგანაც იღებენ სასწავლო პროცესის სწორად წარმართვასთან დაკავშირებით ყველა საჭირო ინფორმაციას. აღსანიშნავია, რომ სტუდენტებს აქვთ საუნივერსიტოტო მეილები, სადაც მათ მისდით ინფორმაცია კონფერენციების, გაცვლითი პროგრამების, სტაჟირებების შესახებ. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტევიუებისას დადგინდა, რომ ისინი კმაყოფილები არიან იმ საკონსულტაციო მომსახურებით, რომელსაც იღებენ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;
- ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი- https://cu.edu.ge/.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებისას დადგინდა, რომ სტუდენტები იღებენ სრულყოფილ კონსულტაციებს ლექტორებისაგან, პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში გაწერილია საკონსულტაციო საათები 5 საათის მოცულობით, თუმცა ზოგიერთ სილაბუსში მსგავსი ჩანაწერი გამორჩენილია (მაგ: ორგანიზაციული ქცევა, შესავალი მაკროეკონომიკაში). მიუხედავად, იმისა, რომ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს არ აქვთ წინასწარ განსაზღვრული საკონსულტაციო დღეები და საათები, სტუდენტები ლექტორებისაგან (ინდივიდუალური შეთანხმებების საფუძველზე) სრულყოფილად იღებენ კონსულტაციებს სასწავლო კურსებთან

დაკავშირებით. ხშირ შემთხვევაში, კონსულტაციები იმართება სალექციო საათების დასრულების შემდეგაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა; ▪ ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან; ▪ ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი- https://cu.edu.ge/.
რეკომენდაციები: ▪ მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტები ლექტორებისაგან (ინდივიდუალური შეთანხმებების საფუძველზე) შეუზღუდავად იღებენ კონსულტაციებს, რეკომენდებულია სასწავლო კურსების ყველა სილაბუსში დაფიქსირდეს საკონსულტაციო საათები და შედგეს საკონსულტაციო დატვირთვის სქემა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართვას სამეცნიერო კონფერენციებში. ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომების კრებული და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. უნდა აღინიშნოს, რომ ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს პროექტის კომპონენტს. პროექტის შესრულებისას სტუდენტებს უხდებათ კვლევის მეთოდების გამოყენება, რაც ხელს უწყობს კვლევითი უნარების განვითარებას. პროგრამა, ასევე, მოიცავს პრაქტიკის კომპონენტს, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. უნივერსიტეტს მემორანდუმები აქვს გაფორმებული პრაქტიკის

ობიექტებთან, სადაც სტუდენტები გადიან პრაქტიკას. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ინტერვიუებისას აღნიშნეს, რომ დაწესებულება ხელს უწყობს მათ კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაშიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;
- ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის კრებულები;
- ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი- https://cu.edu.ge/.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების ინტერნაციონალიზაციაზე. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ერაზმუს+-ის გაცვლითი პროგრამები. უნივერსიტეტმა წარმოადგინა სტუდენტების მონაცემები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს გაცვლით პროგრამებში. სტუდენტებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ ისინი საუნივერსიტეტო მეილის მეშვეობით აქტიურად იღებენ ინფორმაციას უნივერსიტეტში მიმდინარე საერთაშორისო პროექტების შესახებ. რამდენიმე მათგანმა ისიც აღნიშნა, რომ დაწესებულებამ თავად დაუფინანსა საზღვარგარეთ სწავლება. კურსდამთავრებულებმაც დაადასტურეს, რომ ისინი საუნივერსიტეტო მეილის მეშვეობით კვლავ იღებენ ინფორმაციას უნივერსიტეტში მიმდინარე აქტივობების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;

- ინტერვიურება ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინფორმაცია გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტების შესახებ;
- ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი- https://cu.edu.ge/.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შდეგების მიღწევას. ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცნენ კავკასიის უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურას, სასწავლო აუდიტორიებს, ბიბლიოთეკას, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახებს, კომპიუტერულ რესურს–ცენტრებს, ლაბორატორიებს და სხვა ტექნიკურ აღჭურვილობას, რომლებიც შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული

სწავლის შედეგების მიღწევას. აღსანიშნავია, რომ კავკასიის უნივერსიტეტში არსებობს ბეჭდური და ელექტრონული ბიბლიოთეკა და შესაბამისი ელექტრონული კატალოგი. მასში რეგისტრირებულია ბიბლიოთეკის საკუთრებაში არსებული წიგნადი და ციფრული ფონდი, ასევე საგანმანათლებლო/სამეცნიერო პერიოდიკა. ბიბლიოთეკას გააჩნია წვდომა შემდეგ ქსელებთან: EBSCO HOST, EBSCO HOST CONNECTION World Higher Education Database WHED Portal, HEDBIB the International Bibliographic Database on Higher Education სადაც შესაძლებელია ელექტრონულ უცხოურ ინტერნეტ რესურსებით მოიძიონ უცხოენოვანი მოწინავე ჟურნალი, სტატია, წიგნი, რომელიც მათ სჭირდებათ კვლევასა და სწავლებაში. წამოსული მოთხოვნის შესაბამისად, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა პერიოდულად ახორციელებს ახალი სასწავლო ლიტერატურის შეძენის პროცესს. ექსპერტების მიერ შერჩევით მოხდა სილაბუსში მითითებული ძირითადი ლიტერატურის ბიბლიოთეკაში დათვალიერება. სტუდენტებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სასწავლო მასალა ყოველთვის ატვირთულია მათ ბაზებში ელექტრონულად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ უნივერსიტეტის მატერიალური ბაზის დათვალიერება ადგილზე; ▪ ინტერვიურება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; ▪ ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლებლის შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ჯანდაცვის მენეჯმენტის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამაში მონაწილეობს კავკასიის უნივერსიტეტის 8 პროფესორი და 6 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტი, 12 მოწვეული ლექტორი და 2 მოწვეული სპეციალისტი. პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთა კვალიფიკაცია და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევასა და შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს. პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აქვთ დიდი პრაქტიკული გამოცდილება, ფლობს დარგის თეორიას, პრაქტიკას, მეთოდებსა და პროფესიულ უნარებს, თუმცა სასურველია აკადემიურმა პერსონალმა უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს კვლევით კომპონენტს. ამ საკითხზე ინტერვიუს დროს ხარისხის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში გააქტიურებულია ამ კუთხით მუშაობა, ასევე აღინიშნა, რომ ახლად დამტკიცებულმა აფილირების წესმა კიდევ უფრო გააძლიერა ამ პროცესში ჩართულობა. ამჟამად პროგრამაზე სწავლობს 131 სტუდენტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ინტერვიურება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის პირადი საქმეები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია პროგრამის განმახორციელებელ აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმების მეტად გააქტიურება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს დეკანი, რომლის საქმიანობის სფერო, მიზნები და ძირითადი ფუნქციები რეგულირდება სკოლის დებულებით, პროგრამის ხელმძღვანელი, საბაკალავრო პროგრამის დეპარტამენტის დირექტორი და აკადემიური მენეჯერები. სტუდენტები სასწავლო წლის დასასრულს ანონიმური წესით, ანკეტირების ფორმით ახდენენ ადმინისტრაციის საქმიანობის შეფასებას, რაც შემდგომში გათვალისწინებულია და ასახვას ჰპოვებს ყოველწლიურ სამოქმედო გეგმაში. ექსპერტების ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ პროგრამის განხორციელების ხელშეწყობა უზრუნველყოფილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, თუმცა შესაფასებლად გადმოგზავნილ პროგრამაში იყო ტექნიკური ხასიათის ხარვეზები, რაც უკვე აღინიშნა შესაბამისი სტანდარტის კომპონენტში. ამასთან, სასურველია ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის კორდინაციის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით განხორციელდეს პროგრამული დოკუმენტების მომზადებისა და წარდგენის წესების გაწერა, რაც მინიმუმამდე დაიყვანს თუნდაც სააკრედიტაციოდ გასაგზავნ დოკუმენტაციაში ტექნიკური ხასიათის ხარვეზების არსებობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიურება საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან;
- ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის კორდინაციის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით განხორციელდეს პროგრამული დოკუმენტების მომზადებისა და წარდგენის წესების გაწერა, რაც მინიმუმამდე დაიყვანს თუნდაც სააკრედიტაციოდ გასაგზავნ დოკუმენტაციაში ტექნიკური ხასიათის ხარვეზების არსებობას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემული სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე, თუმცა რიგ შემთხვევებში შესაძლებელია გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურის განახლება (მაგ.ბიზნეს სტატისტიკის საფუძვლები, მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები, ჯანდაცვის პოლიტიკა და რეფორმები პრინციპები და ა.შ. გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურა 2009 წლის ქვემოთა გამოცემული), გარდა ამისა, გარკვეულ სილაბუსებში (მაგ. ჰოსპიტალის მართვა, ფარმაციის მენეჯმენტი და პოლიტიკა, სამედიცინო მომსახურების ხარისხის მენეჯმენტი, ხარისხის მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ჯანდაცვაში, შესავალი ბიოსტატისტიკაში და ა.შ.) მითითებულია მხოლოდ უცხოენოვანი ლიტერატურა, თუმცა ინტერვიუს დროს გაირკვა რომ სტუდენტებს ატვირთული აქვს ლექტორების მიერ მომზადებული ქართულენოვანი რიდერები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;
- ინტერვიურება ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამათვრებულებთან;
- ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი- https://cu.edu.ge/.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ზოგიერთ სასწავლო კურსში (მაგ. ბიზნეს სტატისტიკის საფუძვლები, მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები, ჯანდაცვის პოლიტიკა და რეფორმები პრინციპები, ლიდერობა და გუნდის მართვის საფუძვლები) სავალდებულო ლიტერატურის განახლება, ხოლო იმ კურსებში, სადაც მხოლოდ ინგლისურენოვანი სავალდებულო ლიტერატურაა მოხდეს მითითებული ქართულენოვანი რიდერების ჩამატება და საბიბლიოთეკო ბაზაში განთავსება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის უზრუნველყოფისთვის წინასწარი ფინანსური გათვლებით შედგენილია ხარჯთაღრიცხვა, რომელსაც თან ახლავს შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფის წყარო, რაც ასახულია კავკასიის უნივერსიტეტის 2018 წლის ერთიან ბიუჯეტში. პროგრამის ბიუჯეტი ორიენტირებულია პროგრამის განვითარებაზე და უწყვეტ გაუმჯობესებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; ▪ პროგრამის ბიუჯეტი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე„ ციკლს
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, რომელიც მუდმივად ხელს უწყობს სასწავლო და სამეცნიერო/კვლევითი პროცესების ხარისხის ამაღლებას. უნივერსიტეტში ეფექტურად არის დანერგილი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, რომელთა მუშაობაში უზრუნველყოფილია ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა. ექსპერტები გაეცნენ აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ასევე ადმინისტრაციის ყოველ სემესტრული შეფასების სისტემას, რომელსაც აქტიურად იყენებენ სტუდენტები. სტუდენტთა უფლებებისა და ინტერესების დაცვისა და ხელშეწყობის მიზნით, უსდ-ში არსებობს გასაჩივრების ეფექტური მექანიზმი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმები, რომელთა განხორციელებაშიც გააქტიურებულია სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური და მოწვეული, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა; ▪ ინტერვიურება ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ გამოკითხვის შედეგები; ▪ ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი- https://cu.edu.ge/.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების შიდა შეფასება ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხორციელდება შემუშავებული ფორმებისა და კრიტერიუმების საშუალებით. ექსპერტების მიერ დადასტურდა რომ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას ახდენენ სტუდენტები სპეციალური კითხვარების საშუალებით, რომელთა შედეგების გათვალისწინებასაც ახდენს შესაბამისი სამსახური. უნივერსიტეტი გარე შეფასების მექანიზმად იყენებს აკრედიტაციის პროცესს. აღნიშნული პროგრამის აკრედიტაცია განხორციელდა 2012 წლის 3-4 დეკემბერს. პროგრამის აკრედიტაციის დროს გაცემული რეკომენდაციები დღევანდელი მდგომარეობით უმეტესწილად გათვალისწინებულია, კერძოდ პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო გახდა ,,პროექტი ჯანდაცვის მენეჯმენტში“; პროგრამაში შემავალი ზოგადსაუნივერსიტეტო სასწავლო კურსების სწავლის შედეგები წარმოდგენილია დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების სახით; მიუხედავად იმისა, რომ არ შეცვლილა პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების კრედიტების მოცულობა (5 კრედიტი), სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით დიფერენცირებულია ლექციების, სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობების საათები; რეკომენდაციის შესაბამისად დაკორექტირებულია არჩევითი სასწავლო კურსის ,,ხარისხის მენეჯმენტის“ შეთავაზების სემესტრი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა; ▪ ინტერვიურება ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ გამოკითხვის შედეგები; ▪ ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი- https://cu.edu.ge/.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

კავკასიის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

ჯანდაცვის მენეჯმენტი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 31

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:</u>

ვასილ კიკუტაძე

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები:</u>

ირმა მჟავანაძე



რუსუდან სეთურიძე

ანა გვრიტიშვილი